საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გერმანე მღვდელმონაზონი

გერმანე მღვდელმონაზონი. პირველი საღვთისმეტყველო სახელმძღვანელო 1711

გერმანე მღვდელმონაზონი (გ. 1739), საეკლესიო მწერალი, თბილისის სიონის ეკლესიის მსახური. ვახტანგ VI-ის თანამშრომელი კულტ.-მწიგნობრულ საქმიანობაში.

1710 მისი რედაქტორობით დაიბეჭდა „კონდაკი“ (საეკლ. საგალობლები), 1711 მხედრული შრიფტით დაიბეჭდა გ. მ-ის წიგნი „სწავლა“ – ღვთისმეტყველების პირველი ქართ. სახელმძღვანელო. ნაშრომი დაწერილია მარტივი, გასაგები ენით („საერო და სოფლური ენით“), იგი XIX ს-მდე გამოიყენებოდა და ხელნაწერების სახითაც მრავლდებოდა.

გ. მ-მა დიდი შრომა გასწია ქართული წერილობითი ძეგლების შეკრებისა და დაცვისათვის. მან მოიძია და განაახლა ვარძიის ხელნაწერი (მათეს თავის თარგმანება იოანე ოქროპირისა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტი, A–365).

1724 გ. მ. ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში, სადაც განაგრძობდა სასტამბო-მწიგნობრულ მოღვაწეობას. მისი რედაქტორობით 1738 მოსკოვში დაიბეჭდა „ზატიკი“.

თხზ.: სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა, ტფ., 1711.

ლიტ.: შ ა რ ა შ ი ძ ე ქ., პირველი სტამბა საქართველოში (1709–1722), თბ., 1955.